*<u>პროექტი</u>*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**განკარგულება №**
**---სექტემბერი 2023 წელი**

**ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიხარულის ქუჩის I ჩიხისთვის აკაკი გელოვანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, სიხარულის ქუჩის I ჩიხს მიენიჭოს აკაკი გელოვანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

X:481690 Y:4629389
აკაკი გელოვანის ქ.
X:481718 Y:4629324
X:481694 Y:46292956
N
1:800

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს


მოქ: მიხეილ ჯაიმს სონდერს

მცხ: ბიხვიტულის ჩიხი, N2, ბ2

ტელ: 595 768 799

პ/ნ: 01024072846


გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, ჩვენი გვის მისამართის სახელი შეცვალოთ.

იხილე დანართი

16/08/2023

16.08.2023

# განცხადება

თემა: გზის მისამართის სახელის შეცვლა

ძვირფასო საკრებულო,

ამჟამად მე და ჩემი მეზობელი ვართ დარეგისტრირებული „სიხარულის ჩიხი“.

ძალიან რთულია ამ მისამართის ახსნა, რადგან ჩვენი გზა უფრო აკაკი გელოვანის ქუჩის გაგრძელებად გვევლინება.

სიხარულის და აკაკი გელოვანის ქუჩას შორის არის გზაჯვარედინზე.




შენიშვნა: Google Maps აჩვენებს სიხარულის ქუჩის უფრო ძველ სახელს “წებელდის ქუჩა”

გთხოვთ გადაარქვით ჩვენს ჩიხს სახელი და გადახვიდეთ აკაკი გელოვანის ქუჩის გაგრძელებაზე და მოგვაწოდოთ ჩვენი მისამართის ახალი ნომრები

დიდი მადლობა ყურადღებისთვის

საკადასტრო კოდი: 01.72.14.007.505.01.002

სახელე: მიხეილ ჯეიმს სონდერს, 01024072846;

მეზობლების სახელები და პირადობის მოწმობა..... 01024004044 .....

მობ: 595 768 799

წერილის ნომერი: **03-0323236135**
თარიღი: **24/08/2023**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მიხეილ ჯეიმს სონდერის 2023 წლის 16 აგვისტოს საქმე #19/03232289-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია მისამართის ცვლილება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ სიხარულის ჩიხის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში აკაკი გელოვანის ქუჩის გაგრძელება) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01232412173**
თარიღი: **29/08/2023**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 24.08.2023 წლის # 03-0323236135 (24.08.2023 წ. #14-0123237130-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი